



სპრესნიუსი

ვარი ინტერვიუ კონფლიქტები კულტურა მსოფლიო სტატიები ფოტო რეკლამა

SEARCH HERE..

იო კონტაქტი


SSNEWS - ახალი ამბების სააგენტო » საზოგადოება » არასამთავრობო ორგანიზაციები თბილისის მერიას თბილისის ურბანული მემკვიდრეობის დაცვის ხეზე თანამშრომლობისაკენ მოუწოდებენ

## არასამთავრობო ორგანიზაციები თბილისის მერიას თბილისის ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე თანამშრომლობისაკენ მოუწოდებენ

მარტი 16th, 2011 10:41 AM | საზოგადოება



დღის აუდიო ამბები



სასტუმრო "თბილისი-მერიოტში" ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები მრგვალ მაგიდას გამართავენ.

შეხვედრაზე მხარეები მერიასთან "თბილისის ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე თანამშრომლობის" შესახებ ისაუბრებენ.

მრგვალი მაგიდის მიზანია ქ. თბილისის ურბანული მემკვიდრეობის საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციების და

ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლობის გაღრმავება.

თბილისის მერიის გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა არასამთავრობოთა იმ ერთ-ერთი მოთხოვნათაგანია, რომელიც შეხვედრაზე გავრცელდება.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილებული იქნება ურბანული მემკვიდრეობის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას შორის კომუნიკაციაში არსებული ხარვეზების წარმოჩენასა და მათი გადაჭრის მცდელობაზეც.

შეხვედრის მომდევნო ეტაპზე, არასამთავრობო ორგანიზაციები მერიას კონკრეტულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს წარუდგენენ.

ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან ქ. თბილისის საკრებულოს წევრები, ქ.თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, ინიციატივის მხარდამჭერი და თბილისის ურბანული განვითარების თემით დაინტერესებული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და შესაბამისი სფეროს ექსპერტები, ურბანისტები, არქიტექტორები და ხელოვნებათმცოდნეები.

ინიციატივის მხარდამჭერები არიან: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (IROMOშ), საქართველოს ეროვნული კომიტეტი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (IFED), ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა", ორგანიზაცია "ტფილისის ჰამქარი", სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, ჟურნალი "ლიბერალი" და შესაბამისი სფეროს ექსპერტები.

დღის ფოტო გალერეა



## Leave a Reply




**Name (Required)**

**E-Mail (Required)**

**Website (Optional)**

დღის ვიდეო



უსაფრთხოების კოდი \*

ახალი ამბები

Submit Comment

« ჰააგის სასამართლო ქართულ-რუსულ მოსმენაზე გადაწყვეტილებას 1 აპრილს გამოაცხადებს »

“ყელ-ყურ ცხვირის კლინიკა” ელექტრონულ აუქციონზე გაიყიდება \*

ნანა კაკაბაძე: ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება ჩემთვის მტკივნეული იყო სუპერმარკეტი „სმარტი“ მომხმარებელს სამარხვო პროდუქციაზე ფართო არჩევანს სთავაზობს  
ღარიბაშვილი: მერაბიშვილი დაკითხვაზე ძალიან შეშინებული იყო  
ღარიბაშვილი: ბარბარე რაფალიანცის საქმე აუცილებლად გაიხსნება  
ღარიბაშვილი : 400 პრეპარატის რეალიზაცია რეცეპტის გარეშე აკრძალული იქნება  
ირაკლი ღარიბაშვილი: სამცხე-ჯავახეთში არავითარი საფრთხე არ არსებობს  
ირაკლი ღარიბაშვილი: მე როგორც მინისტრი პასუხისმგებელი ვარ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე  
ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ წებისმიერ პროვოკატორს დავსჯით  
ირაკლი ღარიბაშვილი: 112-ის მომსახურება ფასიანი მხოლოდ საქართველოში არ არის აფხაზეთიდან დევნილები პრემიერის ბიზნესცენტრთან აქციას მართავენ  
კბილაშვილი: პროკურატურაში მუშაობის დაწყების მსურველთაგან სარეზერვო ბანკი შეიქმნება  
საპარლამენტო უმცირესობა “საერთო სასამართლოების შესახებ” კანონპროექტს მხარს არ დაუჭირს